



E - G O V E R N M E N T . G E

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #26 ივლისი, 2013

გამოშვებაში წაიკითხავთ

1 მონაცემთა
გაცვლის
სააგენტო
სახელმწიფო
სერვისების
განვითარების
სააგენტოში
პროექტის
განხორციელებას
იწყებს

2 „ღია
მმართველობის
პარტნიორობის“
ფარგლებში
მრგვალი მაგიდა
გაიმართა

2 დამშობილების
(TWINNING)
პროექტი:
შეხვედრა
ელექტრონული
კომერციის

3 ტრენინგები
ინფორმაციული
უსაფრთხოებისა
და კომპიუტერული
ინციდენტებზე
რეაგირების
საფუძვლებში

4 სხვა თემები

მონაცემთა გაცვლის სააგენტო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში პროექტის განხორციელებას იწყებს




საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო ამავე სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას იწყებს.

სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლები პროექტის ფარგლებში, რომელიც 11

თვის განმავლობაში განხორციელდება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გაუწევენ კონსულტაციას ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციის, რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურების ინფორმაციული უსაფრთხოების კანონთან შესაბამისობაში მოსვლასთან დაკავშირებით.

„ჩვენი სააგენტო მზად არის სხვადასხვა საჯარო უწყებებს გაუწიოს კონსულტაცია იმ სტანდარტებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. ჩვენს გუნდს აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რომ ეს პროცესი უმაღლეს დონეზე იქნას წარმართული და შედეგად ორგანიზაციამ მიიღოს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელ სწრაფად განვითარებად ეპოქაში.“
- ირაკლი ლომიძე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

MY.GOV.GE

სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საქართველოს
საგანგებობალო
მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

"ღია მმართველობის პარტნიორობის" ფარგლებში მრგვალი მაგიდა გაიმართა



კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში "ღია მმართველობის პარტნიორობისა" და მოქალაქეთა ჯანმრთელობის თემაზე მრგვალი მაგიდა გაიმართა.

ღონისძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ და დემოკრატიული მმართველობის პროგრამის დირექტორმა მარის ნიკელსონმა გახსნეს.

შეხვედრის მთავარი მიზანია "ღია მმართველობის პარტნიორობის" საერთაშორისო ტენდენციების გაცნობა, სამოქმედო გეგმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების მიღება, პრიორიტეტული

მიმართულებების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხელშეწყობის საკითხების განხილვა.

"ღია მმართველობის პარტნიორობა" პრეზიდენტ ობამას ინიციატივაა, რომლის მიზანია მიღწეულ იქნას სახელმწიფოს უპრეცედენტო ღიაობა და გამჭვირვალობა, ასევე საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება.

საქართველო ამ ინიციატივას 2011 წელს შეუერთდა და წარადგინა სამოქმედო გეგმა. ღონისძიების მიზანია, ღია მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს ახალი პრიორიტეტული მიმართულები და გაიწეროს 2014-15 წლის სამოქმედო გეგმა.

დამმობილების (TWINNING) პროექტი: სამუშაო შეხვედრა ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით



2013 წლის 1-2 ივლისს, სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ავსტრიის ევროპული ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა, რომელთაც იმსჯელეს საქართველოში ელექტრონული კომერციის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების საჭიროებაზე, ასევე ამგვარი რეგულირების ძირითად პრინციპებსა და დებულებებზე. შეხვედრის მუშაობას კოორდინაციას უწევდა ავსტრიელი ექსპერტი, ავსტრიის სავაჭრო პალატის იურისტი, გერჰარდ ლაგა, რომელმაც მონაწილეებს გააცნო ევროკავშირისა და ავსტრიის გამოცდილება აღნიშნულ საკითხებში.

შეხვედრა ორგანიზებული იყო ევროკავშირის საჯარო სამსახურის დამმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში და წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს მიმართულების ერთ-ერთ ღონისძიებას. პროექტი გააგრძელებს მუშაობას ელექტრონული კომერციის მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბებისა და დახვეწის მიზნით.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საჯარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ტრენინგების მეორე სესია გამართა „ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში“.

ტრენინგები მიზანად ისახავს ორგანიზაციის პერსონალისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებთან შესაბამისი მოპყრობის უნარ-ჩვევებს გამომუშავებას, ინფორმაციული უსაფრთხოების დონეების, ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის პრინციპებსა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებს გაცნობას.

ტრენინგები ეფუძნება ISO 27001 სტანდარტს და საქართველოს კანონს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, ასევე ENISA-ს

მეორე შექმნილ სავარჯიშოებს, რომელიც მსმენელს გაუუმჯობესებს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების უნარებს.

ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანია - მეორე ეტაპი

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამა საქართველოში (G3) მხარდაჭერით ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის მეორე ეტაპის ფარგლებში 5 ახალი შემეცნებითი კლიპი გადაიღო. კლიპების შინაარსი ფარავს ინფორმაციული უსაფრთხოების ყველაზე მარტივ, მაგრამ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება.

„გასულ წელს ჩვენ უკვე გადავიღეთ 6 შემეცნებითი კლიპი, რომელსაც პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. ვინაიდან პირველი ეტაპი წარმატებული აღმოჩნდა, გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა კამპანია. ამჯერად საზოგადოებას შევთავაზებთ 5 ახალ კლიპს. თემატიკა არ შეცვლილა, თუმცა მთლიანად შეიცვალა კლიპების სცენარები. ამ კლიპების მიზანია ფართო აუდიტორიას მოვუყვეთ ინფორმაციული უსაფრთხოების იმ ელემენტარული ნორმების შესახებ, რომელთა დაცვაც მნიშვნელოვანია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც იყენებს ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს, სარგებლოს მობილური მოწყობილობებით, ამოწმებს ელექტრონულ ფოსტას ან სარგებლოს პლასტიკური საბანკო ბარათებით.

ამ, ერთი შეხედვით ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ სიტუაციებს, მრავალი საფრთხე ახლავს თან, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევთ. შედეგად საფრთხე ექმნება ჩვენს პირად ინფორმაციას. ვფიქრობთ, კამპანიის ფარგლებში მომზადებული კლიპები დადებით როლს შეასრულებს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების საქმეში.“ - **ირაკლი ლომიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

ელ-საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ის „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ და ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების (Twinning) პროექტი „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ორგანიზებას უწევენ 2014-2018 წლებისთვის ციფრული საქართველოს (Digital Georgia/e-Georgia) სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

დოკუმენტი წარმოადგენს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სფეროში ინიციატივების კოორდინირებულად დაგეგმვისა და განხორციელების პირველ მცდელობას, რათა მაქსიმალური ეფექტურობით მოხდეს სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული მიმართულების განვითარება როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო და კერძო სექტორში.

სტრატეგიის მიზანია სახელმწიფომ შეძლოს უფრო ეფექტიანად, უსაფრთხოდ და ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელოს მაღალი ხარისხის ელექტრონული სერვისების მიწოდება, აგრეთვე ხელი შეუწყოს კერძო სექტორის მაქსიმალურ ჩართულობას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის ზრდის პროცესში.

სტრატეგიის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების, ხედვისა და მისიის შემუშავებაში, აგრეთვე სტრატეგიული ინტერვენციების დაგეგმვის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი დაინტერესებული მხარეები როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორიდან.

გთხოვთ, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით 2013 წლის 15 აგვისტომდე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოგვაწოდოთ შენიშვნები და კომენტარები. ელ. ფოსტა: info@dea.gov.ge

დოკუმენტის ჩამოტვირთვა:

[E-Georgia Strategy and Action Plan 2014-2018](#)

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ომსახურთა ბაჰჯინს
სანაბანსო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.